

საქართველოს მოსამართლეთა XXI რიგგარეშე კონფერენცია



2017 წელი

24 ივნისი, 2017 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №19)

დღის წესრიგი

10:00 - 11:00 სთ. - რეგისტრაცია

1. 11:00 - 11:05 სთ.

კონფერენციის გახსნა და მოსამართლეთა ინფორმირება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების (ლევან მურუსიძის, მერაბ გაბინაშვილის, თამარ ალანასა და შოთა გეწაძის) და სადისციპლინო კოლეგიის წევრების (გიორგი ტყავაძის, შორენა ყაველაშვილისა და შალვა კაკაურიძის) უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო

2. 11:05 – 11:10 სთ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება - *(ოთხი ვაკანტური თანამდებობიდან 2 (ორი) ვაკანტურ თანამდებობაზე კენჭი ეყრება ცალკე და კანდიდატად დასახელებულ უნდა იქნეს ის მოსამართლე, რომელსაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლება აქვს საბჭოს წევრის თანამდებობასთან ერთად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა)*

3. 11:10 - 11:30 სთ.

ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით *(ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით)*

4. 11:30 - 13:00 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4 (ოთხი) მოსამართლე წევრის არჩევა, I ტური - *(ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით)*

5. 13:00 - 14:00 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 4 (ოთხი) მოსამართლე წევრის არჩევა, II ტური - *(საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები)*

შენიშვნა: თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ 2 (ორი) წევრის თანამდებობაზე, რომელსაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლება აქვს საბჭოს წევრის თანამდებობასთან ერთად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, არ იქნა დასახელებული კანდიდატად, ან თუ კენჭისყრის შედეგად საჭირო რაოდენობის ხმები ვერ მიიღო, ვაკანტურ თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს მოსამართლე, რომელსაც არ უკავია ასეთი თანამდებობა. შესაბამისად ტარდება გენმეორებითი არჩევნები: I ტური - ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით. II ტური - საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები

5. 14:00 - 14:30 სთ. - სადილი

6. 14:30 – 15:30 სთ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა - I ტური (ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა)

7. 15:30 - 16:30 სთ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა - II ტური (საჭიროების შემთხვევაში, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები)

8. 16:30 -18:00 სთ.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრობის კანდიდატების დასახელება და არჩევა - I ტური (ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით)

9. 18:00 სთ - 19:00 სთ.

საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიის წევრების არჩევა - II ტური (საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები)

შენიშვნა: დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების დროში გაჭიანურების შემთხვევაში კონფერენციის გადაწყვეტილებით სხდომა გაგრძელდეს 2017 წლის 25 ივნისს 12 საათიდან.